დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „კუჭ–ნაწლავის ტრაქტის სისხლდენით მიმდინარე ქირურგიული დაავადებების მინიინვაზიური, ენდოსკოპიური მეთოდებით მკურნალობის ოპტიმიზირება ბავშვებში“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> პროფესორი (ემერიტუსი) რამაზ კუტუბიძე

პროფესორი გიორგი ბურკაძე

2. „ნაღვლის სადინრების გავლენა ღვიძლის ვენებზე, მექანიკური ქოლესტაზის და ქოლანგიტის პირობებში“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u> პროფესორი ილია ჭანუყვაძე

3. „საქართველოში პერსონოლოგიური აშლილობის მქონე პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა ანალიზი”

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u> პროფესორი თეიმურაზ სილაგაძე

4. „რკინის დეფიციტის კლინიკური მნიშვნელობა გულის ქრონიკული უკმარისობის მიმდინარეობაში“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u> ასოც. პროფესორი ირმა მამაცაშვილი

5. „საქართველოში მოზარდი გვარი Allium –ის ზოგიერთი სახეობის მეორადი მეტაბოლიტების ფიტოქიმიური შესწავლა და მათი ბიოლოგიური აქტივობის დადგენა“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> ასოც. პროფესორი ლაშა მსხილაძე

ლიეჟის უნივერსიტეტის ფარმაკოგნოზიის ლაბორატორიის პროფესორი მიშელ ფრედერიში

6. „ფერმენტების შემცველი სუბსტანციებიდან ძვალ–სახსროვანი პათოლოგიების სამკურნალო მოქმედების გელების შემუშავება და სტანდარტიზაცია“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> ასოც. პროფესორი ნანა გორგასლიძე

აკად. დოქტორი ქიმიაში გიორგი ერქომაიშვილი

7. „პირის ღრუს ჰუმორული იმუნიტეტი თანკბილვის ანომალიების ორთოდონტიული მკურნალობის დროს“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> პროფესორი თინათინ მიქაძე

ასოც. პროფესორი ია ფანცულაია

კონსულტანტი: პროფესორი ირინე კვაჭაძე

8. „საღეჭი მუსკულატურის ელექტრომიოგრაფიული კორელატები სუნთქვის სხვადასხვა პატერნის პირობებში“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

პროფესორი ირინე კვაჭაძე

9. „უწყვეტი სამედიცინო განათლების ეფექტური სისტემის ალგორითმი პერინატალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> ასოც. პროფესორი ზაზა ბოხუა

პროფესორი ბიძინა ზურაშვილი

10. „საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელების ეპიდემიოლოგიური თავისებურებები და პაციენტის გადარჩენის პერიოდზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი

ასოც. პროფესორი ნანა მებონია

11. „კანცეროგენული რისკის კორელატების კომპლექსური კვლევა ზემო იმერეთის მაგალითზე“

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u> ასოც. პროფესორი ლალი ბაქრაძე

პროფესორი თამარ სანიკიძე

სამეცნიერო კონსულტანტი: პროფესორი გიორგი ორმოცაძე

კონკურსი მოიცავს:
ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში (ტესტირება, გასაუბრება) და უცხოურ ენაში.
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები**:**
1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა) (ივსება ადგილზე);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.

საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 21 მაისიდან 21 ივნისის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში, ყოველდღე (შაბათ–კვირის გარდა) 10^{00}–დან 17^{00}სთ–მდე (შესვენება 13^{15}–დან 14^{00} სთ–მდე).
მისამართი: თბილისი, ვაჟა–ფშაველას 33, III სართული, ოთახი № 313.
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს (ტელ.: 254 24 66, ოთახი № 313).